მეორე ტომში შეტანილ ნაწარმოებებში ამხანაგ სტალინის მიერ ბოლშევიზმის იდეური, ტაქტიკური და ორგანიზაციული საფუძვლების დამუშავება შემადგენელ ნაწილად შედის საკავშირო კ. პ. (ბ) იდეურ საგანძურში.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებნი პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს აიარაღებენ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის ღრმა ცოდნით, რაზმავენ ჩვენს ხალხს სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად.

**გ. პონომარიოვი**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის

## საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ე. ალავიძის მოხსენება

**ამხანაგო დეპუტატებო!**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა შემუშავებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონის შესაბამისად.

1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა აგებულია იმ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების მიხედვით, რომელნიც მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახა ამხანაგმა სტალინმა.

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით".

მშვიდობიან შრომაზე გადასვლის შესაძლებლობა ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა მტერზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შედეგად. დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ოთხი წლის მანძილზე აწარმოებდა, დამთავრდა ფაშისტური გერმანიის სრული განადგურებით და იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხებით.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მთელი კაცობრიობის წინაშე ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა, მისი უძლეველობა და სიმტკიცე.

დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ომი, გაიმარჯვა ლენინ-სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ. საბჭოთა კავშირი შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

ფაშისტურ გერმანიასა და იაპონიის იმპერიალიზმზე მოპოვებული სრული სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება იმის შედეგია, რომ ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეს ხელმძღვანელობს დიდი მხედართმთავარი ბრძენი **სტალინი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების პირობები მომზადებული იყო სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებითა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თანმიმდევრული განხორციელებით.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევი განხორციელების საფუძველზე, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველი ერი მტკიცედ დაადგა თავის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას.

საქართველომ, რომელსაც წლების მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა სახელოვანი სტალინელი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**, სოციალისტური მშენებლობის დარგში უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია.

საქართველოს მსხვილმა მრეწველობამ 1940 წელს 1913 წელთან შედარებით 26-ჯერ მეტი პროდუქცია მოგვცა.

შექმნილია მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, როგორიცაა: ელექტრომეტალურგია, ნავთის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ცემენტის, ქაღალდის, საფეიქრო, ჩაის, შაქრის, კონსერვის მრეწველობა და სხვა.

შექმნილია საკუთარი **სათბობი** და ენერგეტიკული ბაზა.

1940 წელს ამოღებული იყო 625 ათასი ტონა ქვანახშირი, ე. ი. 9-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. აშენებულია მთელი რიგი ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრემ 180,6 ათას კილოვატს მიაღწია, ნაცვლად 1913 წლის 8,9 ათას კილოვატისა.

მარგანეცის მოპოვება 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 50 პროცენტით.

ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციამ 1940 წელს მიაღწია 151,5 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1927-28 წლის 9 მილიონი მანეთისა.

მკვეთრად გაიზარდა საფეიქრო, მუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია.

1940 წელს შალეულის ქსოვილი გამოშვებული იყო 1927-28 წელთან შედარებით 16-ჯერ მეტი, აბრეშუმის ქსოვილი 89-ჯერ მეტი, ტყავის ფეხსაცმელი 43-ჯერ მეტი, კონსერვი 22-ჯერ მეტი და ჩაი 43-ჯერ მეტი.

განსაკუთრებით დიდია საქართველოს მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში.

1940 წელს სათესი ფართობი 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 22 პროცენტით, ხოლო ტექნიკური კულტურების ფართობი 2½-ჯერ.

დაინერგა და ფართოდ განვითარდა ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიცაა: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი, ეთერზეთოვანი კულტურები; დიდი მუშაობა ჩატარდა მევენახეობისა და მებაღეობის დარგში.

ჩაის პლანტაციების ფართობმა 1940 წელს მიაღწია 49.636 ჰექტარს, ხოლო ციტრუსების ფართობმა—24.621 ჰექტარს. საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის ჩაისა და ციტრუსოვანი ხილის ძირითად მიმწოდებლად.

დიდი მუშაობაა გაწეული საქალაქო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული მშენებლობის დარგში, აგრეთვე სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელის მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის.

ქალაქებში აშენდა ასიათასობით კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. გაყვანილია ახალი წყალსადენები, კანალიზაცია, განხორციელებულია ღონისძიებანი ქალაქების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის.

საავადმყოფოების საწოლების რიცხვი 1940 წელს გადიდდა 13,8 ათასამდე, ნაცვლად 1913 წლის 2.084 საწოლისა. საექიმო პუნქტების, ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების ქსელი გაიზარდა 1.477-მდე, ნაცვლად 1913 წლის 48,1-ისა.

სკოლების რიცხვი 1940 წელს გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 2,5-ჯერ, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 5-ჯერ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში დაარსდა 20 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 1940 წელს 21 ათასი სტუდენტი ირიცხებოდა.

სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე უმაღლესმა სასწავლებლებმა საქართველოს სახალხო მეურნეობას მისცეს 30 ათასამდე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი.

საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, რომელიც აერთიანებს მთელი რესპუბლიკის საუკეთესო სამეცნიერო ძალებს და დიდ კვლევით მუშაობას ეწევა.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ეს უდიდესი მიღწევები ქართველმა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა ურყევად განხორციელების საფუძველზე, დიდი სტალინის უახლოესი და ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ტაში).**

დიდი სამამულო ომის წლებში, ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა თანახმად, საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა სამხედრო ყაიდაზე გარდაჰქმნა მუშაობა. ისინი სისტემატურად აწვდიდნენ სახელოვან წითელ არმიას შეიარაღებას, სამხედრო მასალებს, საჭურველსა და სურსათ-სანოვაგეს.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად კვლავ შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას.

სსრ კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმის კანონის შესაბამისად, საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: უზრუნველვყოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ომით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვანი ოდენობით გადავაჭარბოთ ამ დონეს.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს:

საქართველოს მძიმე მრეწველობის — შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, საავტომობილო მშენებლობის, მარგანეცის მოპოვების მძლავრ განვითარებას და ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის ფართოდ გაშლას. ახალ ხუთწლედში მიღწეულ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მებაღეობის გაფართოება, ამავე დროს ყოველმხრივ განვითარდეს მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა.

ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით მიღწეულ უნდა იქნას მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომელნიც აწარმოებენ სამრეწველო და სასურსათო პროდუქციას ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საქონლის სიუხვის შესაქმნელად.

მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლების მიზნით, ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საცალო საქონელბრუნვის მნიშვნელოვან ზრდას და საქონლის ფასების თანმიმდევრულ დაკლებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, საბინაო მშენებლობის გაშლას, კომუნალური მომსახურების გაძლიერებას და ჯანმრთელობის დაცვის დარგში ფართო ღონისძიებათა განხორციელებას.

ხუთწლედის განმავლობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდა, შემდგომი ტექნიკური პროგრესი თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

ახალი ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოს საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის, მათი აყვავების უზრუნველყოფა.

საჭიროა მიმდინარე ხუთწლედში ყოველმხრივ განვითარდეს საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობა, უპირველეს ყოვლისა ადგილობრივი მრეწველობა, საშენ მასალათა წარმოება, საფეიქრო, მსუბუქი, კვების მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია, რომლებმაც უნდა მიაღწიონ ფართო მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების გამომუშავების საგრძნობლად გადიდებას.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეურნეო ინიციატივის გაძლიერება, მათი საწარმოო ძალების მაქსიმალურად განვითარება.

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენ მოგვეპოვება ყველა საშუალება იმისათვის, რომ სრულად და გადაჭარბებით შევასრულოთ სოციალისტური მშენებლობის ეს დიდი პროგრამა. ამის რეალური პირობაა ის, რომ ჩვენს ქვეყანას მეთაურობს და წინ მიუძღვის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

### წარმოების და კაპიტალური მშენებლობის ზრდის გეგმა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასა და აღმავლობას. ხუთწლიანი გეგმით კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა საქართველოში განსაზღვრულია 4.120 მილიონი მანეთის რაოდენობით. კაპიტალურ დაბანდებათა უდიდესი ნაწილი ხმარდება მრეწველობის შემდგომ განვითარებას და მძიმე მრეწველობის ახალი დარგების შექმნას. საქართველოში იქმნება მსხვილი მეტალურგიული მრეწველობის ბაზა. მეტალურგიული ქარხანა შენდება რუსთავში. ქარხნის სიმძლავრე 430 ათასი ტონა თუჯი, 500 ათასი ტონა ფოლადი და 380 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა ნაგლინი.

ქალაქ ქუთაისში შენდება საავტომობილო ქარხანა, რომლის სიმძლავრეა 30 ათასი სამნახევარტონიანი სატვირთო ავტომანქანა.

მეტალურგიული ქარხნისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხუთწლედის განმავლობაში დიდად უნდა გაიზარდოს ქვანახშირის მრეწველობა. 1950 წელს მოპოვებულ იქნება 2.400 ათასი ტონა ქვანახშირი, რაც 1940 წლის დონეს თითქმის 4-ჯერ აღემატება.

ხუთწლედის მანძილზე ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში უნდა აშენდეს და ამოქმედდეს 3,2 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. ამავე დროს ჩატარდეს გეოლოგიური კვლევითი და ძიების სამუშაოები, რათა ახალი შახტმშენებლობისათვის მომზადდეს 6,8 მილიონი ტონის სიმძლავრის 22 ქვანახშირის უბანი.

ნავთის მოპოვებამ 1950 წელს 110 ათას ტონას უნდა მიაღწიოს, რაც თითქმის სამჯერ აღემატება 1940 წლის დონეს. ამავე დროს გათვალისწინებულია ნავთის ახალი საბადოების სამრეწველო ათვისება და ნავთის სამრეწველო მარაგის გადიდება 340 ჰაბურღილწერტით.

მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ გაიშლება საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამ ხნის მანძილზე უნდა აშენდეს და ამოქმედდეს ოთხი რაიონული ჰიდროელექტროსადგური 169 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა. გარდა ამისა, აშენდება თბოელექტროსადგურები მეტალურგიულ და საავტომობილო ქარხნებთან.

აღნიშნული მშენებლობის შედეგად ელექტროენერგიის გამომუშავება 1950 წელს მიაღწევს 1.300 მილიონ კილოვატსაათს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 1940 წლის დონეს. ელექტრომეურნეობის ასეთი ზრდა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ელექტრომომარაგებას.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდეს მარგანეცის მოპოვება 2.040 ათას ტონამდე, ე. ი. 40 პროცენტით. ამ მიზნით განზრახულია ახალი მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობა.

მნიშვნელოვნად დიდდება მანქანათმშენებლობის პროდუქცია. 1950 წლისათვის დავალება ლითონმჭრელი დაზგების წარმოების დარგში დაწესებულია 1.700 ცალის რაოდენობით. უნდა განვითარდეს ჩაისა და მევენეობის მოწყობილობის წარმოება, აშენდეს ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხანა თბილისში და სამთო-საშახტო მოწყობილობის ქარხანა ქუთაისში.

კაპიტალური მშენებლობის საშენი მასალებით უზრუნველყოფის მიზნით იზრდება ცემენტისა და შიფერის წარმოება. 1950 წელს კასპის ცემენტის ქარხანამ უნდა გამოუშვას 115 ათასი ტონა ცემენტი, შიფერის ქარხანამ — 14 მილიონი ცალი შიფერი.

მძიმე მრეწველობასთან ერთად გათვალისწინებულია საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარება, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ჩვენს ქვეყანაში ფართო მოხმარების საგნების სიუხვე.

მრეწველობის ამ დარგებმა 1950 წლისათვის უნდა გამოიმუშაონ: 6.000 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი, 3.795 ათასი მეტრი შალის ქსოვილი, 6.830 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 9.500 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 13.500 ტონა ფხვნილი შაქარი, 2.030 ათასი დეკალიტრი ღვინო. რესპუბლიკური მრეწველობა გამოუშვებს 1.550 ათას დეკალიტრ ღვინოს.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის გამომუშავების ეს პროგრამა მნიშვნელოვნად აღემატება ომამდელ დონეს.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ქალაქ გორში ბამბეულის კომბინატის მშენებლობას, რომელიც წელიწადში 30-35 მილიონ მეტრამდე ბამბეულის ქსოვილს გამოუშვებს.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული წყალთა მეურნეობაში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს გაშალდეს სამგორის სარწყავი სისტემის და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. სამგორის მშენებლობა შესაძლებლობას მოგვცემს აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის უხვმოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათასი ჰექტარი თბილისის ახლო მდებარე, ამჟამად გამოუყენებელი ცარიელი მიწა. გარდა ამისა, სამგორის სარწყავ არხზე აშენდება 4 ჰიდროელექტროსადგური 36 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა.

განახლდება სამუშაოები კოლხიდის ჭაობის ამოსაშრობად, რაც ომის პერიოდში დროებით შეწყვეტილი იყო. ხუთწლედის განმავლობაში ამოშრობილ უნდა იქნას და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 20 ათასი ჰექტარი მიწა.

ხუთწლიანი გეგმით დიდი სამშენებლო სამუშაოებია გათვალისწინებული ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

ხუთწლედის განმავლობაში ელექტროფიცირებულ იქნება ხაზები: ცხაკაია-სოხუმი, სამტრედია-ფოთი, სამტრედია-ბათუმი, რიონი - ტყიბული, თბილისი-ალავერდი, ოჩამჩირე-აკარმარა.

სსრ კავშირის ხუთწლიანი გეგმის კანონით დასახულია საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელება. სულ ხუთი წლის მანძილზე საქართველოში აშენდება 732 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საბინაო ფართობი.

კომუნალური მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია მრავალი ახალი ობიექტის მშენებლობა, მათ შორის ისეთი, როგორიცაა ბულაჩაურის წყალსადენი, რაც ერთიორად გაადიდებს თბილისისათვის წყლის მიწოდებას.

### რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომ გაფართოებას და მისი პროდუქციის მნიშვნელოვან გადიდებას.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყება-ორგანიზაციების რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა 1950 წელს უნდა გამოუშვან 1.100 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელ ფასებში), მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციულმა მრეწველობამ — 933,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც ომამდელ დონეს 27,6 პროცენტით აღემატება.

გამოშვებულ უნდა იქნას პროდუქციის შემდეგი ძირითადი სახეები:

| | | |
|---|---|---|
| აბრეშუმის ქსოვილი | 6.510 | ათასი მეტრი |
| შალის ქსოვილი | 3.080 | ათასი მეტრი |
| ბამბეულის ქსოვილი | 3.815 | ათასი მეტრი |
| ფეხსაცმელი | 3.990 | ათასი წყვილი |
| ტრიკოტაჟის თეთრეული | 2.150 | ათასი წყვილი |
| წინდის ნაკეთობანი | 1.435 | ათასი წყვილი |
| მცენარეული ზეთი | 3.500 | ტონა |
| ერბო-კარაქი | 1.000 | ტონა |
| ყველი | 2.000 | ტონა |
| ხორცი | 14.000 | ტონა |
| პაპიროსი | 5.535 | მილიონი ცალი |
| ჩაი—პირველადი დამუშავება | 17.900 | ტონა |
| სუფრის ღვინო | 1.550 | ათასი დეკალიტრი |
| მინერალური წყალი | 17 | მილიონი ბოთლი |
| ლითონის საწოლი | 35 | ათასი ცალი |
| სხვადასხვა სახის ჭურჭელი | 1.900 | ტონა |
| შაბიამანი | 2.100 | ტონა |
| აგური | 98,3 | მილიონი ცალი |
| კრამიტი | 23 | მილიონი ცალი |
| დახერხილი ხე-ტყის მასალა | 46 | ათასი კუბმეტრი |
| ავეჯი | 14 | მილიონი მანეთის |
| პიანინო | 1.000 | ცალი. |

სამრეწველო პროდუქციის გადიდება მეოთხე სტალინურ ხუთწლედში უნდა განხორციელდეს როგორც არსებულ საწარმოთა გაფართოებით, ისე ახალ საწარმოთა მშენებლობის გზით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ამ ახალი პროგრამის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით მარტო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი შეადგენს — 591 მილიონ მანეთს, მათ შორის მრეწველობის დარგში — 207 მილიონ მანეთს.

ახალ ხუთწლედში პროდუქციის ზრდის მხრივ განსაკუთრებით დიდი დავალებანი ეძლევა საშენ მასალათა მრეწველობას. ამის შესაბამისად გათვალისწინებულია 1950 წელს აგურის წარმოების გადიდება ომამდელ დონესთან შედარებით 93 პროცენტით, კრამიტისა — 204 პროცენტით, კირისა—58 პროცენტით. პროდუქციის ზრდის დასახული პროგრამის უზრუნველსაყოფად საშენ მასალათა სამინისტროს მრეწველობის ხაზით უნდა აშენდეს აგურ-კრამიტის ორი ქარხანა 28 მილიონი აგურისა და ოთხი მილიონი კრამიტის საერთო სიმძლავრისა, მათ შორის მშრალი წნეხვის ერთი ქარხანა.

აუცილებელია მოეწყოს გურჯაანის, სამტრედიის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის აგურის ქარხნების მექანიზაცია, ამავე დროს გაფართოვდეს ამ ქარხნების საშრობი ფარდულები, რათა სრულად იქნას ათვისებული აგურის გამოსაწვავი ღუმელების სიმძლავრე.

აშენდება ცემენტის ქარხანა 25 ათასი ტონის სიმძლავრით.

ფართო მასშტაბით უნდა გაიშალოს სხვადასხვა ტუფებისა და სამშენებლო ქვების მოპოვება. ბუნებრივი ქვების მოპოვებამ, აგურთან ერთად, სავსებით უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი მშენებლობის მოთხოვნილება საკედლე მასალაზე.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა:

„საქართველოში დიდია შესაძლებლობა ბუნებრივი სამშენებლო მასალების — სხვადასხვა ტუფებისა და ქვის სხვა სახეთა გამოყენებისა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული". საჭიროა მიმდინარე ხუთწლედში ამ სერიოზულ საქმეს მიექცეს სათანადო ყურადღება.

თეძამის ტუფის საბადოს საფუძველზე მოეწყობა წარმოება, რომელიც წელიწადში მოგვცემს 50 ათას კუბიკურ მეტრ საკედლე ქვას, რაც 25 მილიონ ცალ აგურს უდრის.

მექანიზებული იქნება ეკლარის მოსაპირკეთებელი და კვახჭირის სამშენებლო ქვის კარიერები.

ახალციხის რაიონში აშენდება წყალთბილის თაბაშირის ქარხანა 10 ათასი ტონის წლიური წარმადობით.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების ყოველმხრივ გაფართოებას რაიონული, საქალაქო მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის ხაზით.

საჭიროა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველი ღონე იხმარონ, რათა თავისი ქალაქისა და რაიონის კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილება უზრუნველჰყონ ისეთი მასალებით, როგორიცაა აგური, კრამიტი, კირი, სამშენებლო ქვა.

ხუთწლედის განმავლობაში ადგილობრივმა მრეწველობამ უნდა ამუშაოს აგურისა და კრამიტის ახალი ქარხნები 29 მილიონი ცალი აგურისა და 5,5 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრისა.

სარეწაო კოოპერაციის სისტემამ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს იმისათვის, რათა აღადგინოს და გააფართოვოს საშენ მასალათა არსებული საწარმონი, აგრეთვე ააშენოს ახალი ქარხნები 6 მილიონი აგურის და 3 მილიონი კრამიტის წლიური სიმძლავრისა.

**ხე-ტყის მრეწველობის** დარგში გათვალისწინებულია 1950 წელს სამასალო და შეშის მერქნის გამოზიდვის გადიდება 1945 წელთან შედარებით 15,9 პროცენტით, მათ შორის სამასალო მერქნისა — 39,7 პროცენტით. ხუთწლედის განმავლობაში ფართოდ უნდა დაინერგოს ხე-ტყის გამოზიდვის მექანიზაცია.

დასახულია ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები: ახმეტის სატყეო მასივის

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის

## საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ე. აღავიძის მოხსენება

(გაგრძელება)

ათვისება, რისთვისაც უნდა აშენდეს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა 27 კილომეტრის სიგრძით, დამთავრდეს სადმელის აგარაკის ათვისება, განხორციელდეს წოისის აგარაკისა და გინძა-ეწერის აგარაკების ათვისება.

გეგმა ითვალისწინებს ავეჯის წარმოების ერთიორად გადიდებას და მისი ასორტიმენტის გაფართოებას. ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრომ სპეციალური ღონისძიებანი უნდა განახორციელოს მცხეთის ასანთის ქარხნის სიმძლავრის ათვისებლად, რათა მისი გამომუშავება 1950 წელს ოთხჯერ გაიზარდოს 1945 წელთან შედარებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატყეო მეურნეობას.

განზრახულია ფართო ხასიათის ღონისძიებანი ტყის კულტურების ახალ ფართობთა გაშენების, სანერგეების მოწყობისა და ტყის განახლების დარგში.

ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევია ტყის გაშენება 5 ათას ჰექტარზე, სანერგეების მოწყობა 205 ჰექტარზე, ხელის შეწყობა ტყის ბუნებრივი განახლებისათვის 12 ათას. ჰექტარზე. გათვალისწინებულია ტყის მოწყობა 238 ათას ჰექტარზე და ტყეების გამოკვლევა 160 ათას ჰექტარზე. სატყეო მრეწველობის სამინისტრომ უნდა განახორციელოს ტყის მავნებლების საწინააღმდეგო ფართო ღონისძიებანი.

საქართველოს პირობებისათვის საკურორტო ტყეებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენი კურორტების კეთილმოწყობის ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს საკურორტო ტყეების მეურნეობის მოწესრიგება. გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას ამ ტყეების დაცვის, მოვლისა და აღდგენის მხრივ.

საკურორტო ტყეების სამმართველომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ტყეების მოვლა-პატრონობას, გააშენოს 7.900 ჰექტარი ტყის ახალი კულტურები, მოაწყოს სანერგეები 157 ჰექტარ ფართობზე.

ჩვენს საკურორტო ტყეებს დიდ ზიანს აყენებენ ტყის მავნებლები, განსაკუთრებით ქერქიჭამია ხოჭო, რომლის გავრცელება საშიშ ხასიათს იღებს და სრულ განადგურებას უქადის ნაძვნარს. გეგმა ითვალისწინებს ქერქიჭამიით დაზიანებულ ზეხმელი ხეების გამოზიდვას, პირის ნარჩენებისაგან გაწმენდას და ქერქიჭამიის კერების მოსპობას 12.700 ჰექტარ ფართობზე.

ამ ღონისძიებათა გარდა ტყე უნდა მოეწყოს 715 ათას ჰექტარზე და ბუნებრივი განახლებისადმი ხელშემწყობი სამუშაოები ჩატარდეს 6.000 ჰექტარზე.

**საფეიქრო მრეწველობის დარგში** დასახულია საერთო პროდუქციის გადიდება 28,8 პროცენტით. გეგმა ითვალისწინებს ომამდელ დონესთან შედარებით შალეულის ქსოვილების 49,8 პროცენტით და აბრეშუმის ქსოვილების 22,4 პროცენტით გაზრდას.

პროდუქციის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია ასორტიმენტის გაუმჯობესება. მიმდინარე ხუთწლედში გადიდდება წმინდა აბრეშუმის ქსოვილების წარმოება და ათვისებულ იქნება ახალი ქსოვილების დამზადება ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმის ნარევიდან. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად წმინდა აბრეშუმის ქსოვილების გამომუშავება გაიზრდება 1945 წლის 19,4 პროცენტიდან 68,7 პროცენტამდე 1950 წელს. მკვეთრად გაუმჯობესდება შალეულის ქსოვილების ასორტიმენტი. გამოშვებულ იქნება წმინდა მაუდის საკოსტიუმე და საპალტოე შალეულის ქსოვილები.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან ამუშავდება: პენიეს ქარხანა, რომელიც ძაფსალები მრეწველობის ნარჩენებისაგან დაამზადებს მაღალხარისხოვან აბრეშუმის ნართს; აბრეშუმსაგრეხი ქარხანა 11 ათასი თითისტარით და ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად 3.600 ათას მეტრ ბამბეულის ქსოვილს გამოუშვებს. ჩატარდება თბილისის მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, დამატებით დაიდგმება 107 მაუდის საქსოვი დაზგა და 3.840 სართავი თითისტარი, რის შედეგად ფაბრიკის სიმძლავრე აყვანილ იქნება 2.200 ათას მეტრამდე წელიწადში; მაღალხარისხოვანი წმინდა მაუდის ქსოვილი შეადგენს 1.100 ათას მეტრს.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში გამოიცვლება მოძველებული დაზგები და დაიდგმება დამატებითი მოწყობილობა, რის შედეგადაც ფაბრიკის სიმძლავრე თითქმის გაორკეცდება.

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან მოეწყობა მექანიზებული აბრეშუმის სამღებრო და გამოსაყვანი საამქრო, რომელიც უზრუნველჰყოფს წელიწადში 6.000 ათასი მეტრი ხამი ქსოვილის გადამუშავებას.

საქართველოში ბამბის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით აღდგენილ იქნება შულავრის ბამბის საწმენდი ქარხანა.

საფეიქრო მრეწველობის სათადარიგო ნაწილთა და მანქანათა დეტალებით უზრუნველყოფის მიზნით თბილისში უნდა დამთავრდეს სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მშენებლობა მაქოსა და კოჭის წარმოებით.

**მსუბუქმა მრეწველობამ** 1950 წელს უნდა გამოუშვას ომამდელთან შედარებით 25,4 პროცენტით მეტი საერთო პროდუქცია. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმონი 1950 წელს გამოიმუშავებენ 2.800 ათას წყვილ ფეხსაცმელს, რაც 29 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს, და 51,4 მილიონი მანეთის შეკერილ ნაწარმს, ე. ი. 22,8 პროცენტით მეტს ომამდელთან შედარებით.

მიმდინარე ხუთწლედში სპეციალური ღონისძიებანი განხორციელდება ტყავის ქარხნების რეკონსტრუქციისათვის თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში. სამკერვალო ფაბრიკებში დაინერგება წარმოების უწყვეტი ნაკადი კონვეირიზაციის საშუალებით.

მსუბუქმა მრეწველობამ მიმდინარე ხუთწლედში უნდა აითვისოს საჭაპანო ტრანსპორტისათვის აკაზმულობის დამზადება და გააფართოოს საგალანტერიო ნაწარმთა დამზადება როგორც რაოდენობის, ისე ასორტიმენტის მხრივ.

თბილისში აშენდება ახალი საგალანტერიო ფაბრიკა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მიმდინარე ხუთწლედში სერიოზულ ღონისძიებებს გაატარებს პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

**კვების მრეწველობის** ყველა დარგში მიღწეულ უნდა იქნას მნიშვნელოვანი ზრდა ომამდელ დონესთან შედარებით.

ჩაის პირველადი დამუშავება 1950 წელს შეადგენს 17.900 ტონას, ნაცვლად 1940 წლის 15.435 ტონისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალხარისხოვანი სპეციალური ჩაის დამზადებას. ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხიანად გადამუშავების უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საჯავახოს, აჭყვის, მერიის, ინგირის, ლელვას, ბახვის, კოჩარის და ზედაეწერის ჩაის ფაბრიკების მშენებლობას. ეს ფაბრიკები გადაამუშავებენ 15 მილიონ კილოგრამ ჩაის ფოთოლს. აქედან ახალი ხუთწლედის მანძილზე ამოქმედდება ფაბრიკები, რომლებიც გადაამუშავებენ 10,5 მილიონ კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

მეღვინეობის დარგში გათვალისწინებულია რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ყურძნის ღვინის ჩამოსხმის გადიდება 1950 წლისათვის 1.550 ათას დეკალიტრამდე, რაც 1945 წელთან შედარებით აორკეცებს პროდუქციას. გარდა ამისა, საკავშირო მრეწველობის ხაზით შამპანური ღვინოების კომბინატი გამოუშვებს 160 ათას დეკალიტრ ღვინოსა და 320 ათას დეკალიტრ შამპანურს. სულ ღვინის პროდუქცია 1950 წელს შეადგენს 2.030 ათას დეკალიტრს.

ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად ღვინის დაძველების ფონდი 1950 წლისათვის გაიზრდება 700 ათას დეკალიტრამდე და საგრძნობლად გადიდდება მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში.

მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში დასახულია დიდი მშენებლობა. შეიქმნება მევენახეობის ორი საბჭოთა მეურნეობა — დიდომისა და თელიანის. გაიშლება ღვინის ქარხნებისა და სარდაფების მშენებლობა თბილისში, გურჯაანსა და წინანდალში 660 ათასი დეკალიტრის საერთო ტევადობით.

პირველადი მეღვინეობის ახალი საწარმოები უნდა მოეწყოს შილდაში, შრომაში, ველისციხეში, მანავში, ობჩაში, სიმონეთსა და ბახვში 365 ათასი დეკალიტრის საერთო სიმძლავრით.

უნდა დამთავრდეს პირველადი მეღვინეობის საწარმოები ზეინდარში, ვაქირში, ანაგასა და ტიბაანში.

ახალ ხუთწლედში უნდა გაძლიერდეს პურის ცხობის ბაზა.

პურის საცხობი ქარხნების სადღეღამისო საწარმოო სიმძლავრე გაზრდილ იქნება 160 ტონამდე. აიგება პურის საცხობი ქარხნები თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორსა და ბათუმში. ნამცხვარი პურის გამოშვება 1950 წელს განსაზღვრულია 210 ათასი ტონით. ამავე დროს გათვალისწინებულია ასორტიმენტის გაფართოება და პურის ხარისხის გაუმჯობესება.

თბილისში აიგება დიდი საკონდიტრო კომბინატი 12,5 ათასი ტონა წლიური წარმადობით. ეს კომბინატი დაამზადებს სხვადასხვაგვარ ნამცხვარს, საშაქარლამო ნაწარმსა და შოკოლადს.

გათვალისწინებულია 1950 წელს მცენარეული ზეთის გამომუშავების 13 პროცენტით გადიდება ომამდელ დონესთან შედარებით.

ამუშავდება ოჩამჩირის ტუნგოს ზეთის ქარხანა 20 ტონა სადღეღამისო სიმძლავრით, აშენდება 10 ტუნგოს საშრობი და საწმენდი საწარმო.

უნდა აშენდეს საპნის ახალი ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 10 ათას ტონა სარეცხ საპონსა და 1.000 ტონა ხელის საპონს.

თამბაქოს მრეწველობა 1950 წელს პაპიროსის გამოშვების ომამდელ დონეს 19,5 პროცენტით გადააჭარბებს.

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება ბათუმის ლუდის ახალი ქარხანა 50 ათას ჰექტოლიტრის სიმძლავრით, სტალინირის, ტყვარჩელის, ტყიბულის ლუდის ქარხნები და თბილისის ხილის წყლებისა და ნატურალური სიროფების ქარხანა.

მინერალური და სამკურნალო წყლები 1950 წელს უნდა ჩამოისხას 17 მილიონი ლიტრის რაოდენობით, მათ შორის ბორჯომის სამკურნალო წყალი — 15 მილიონი ლიტრი.

ჩატარდება ბორჯომისა და აქალის შუშის ქარხნების რეკონსტრუქცია, რათა მათ უზრუნველჰყონ 1950 წელს 20 მილიონი ცალი ბოთლის გამოშვება.

**ხორცისა და რძის მრეწველობის დარგში** გათვალისწინებულია 1950 წელს ერბო-კარაქის გამოშვების გადიდება 1940 წელთან შედარებით 207,7 პროცენტით, ყველის — 33,3 პროცენტით და ხორცის 40 პროცენტით.

მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება თბილისის ხორცკომბინატის რეკონსტრუქცია. აშენდება და ამუშავდება თბილისის ორგანოთერაპიული პრეპარატების ქარხანა.

მოსახლეობის რძით მომარაგების გასაუმჯობესებლად თბილისში აშენდება რძის ქარხანა 50 ტონა სადღეღამისო სიმძლავრით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს **ადგილობრივი სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის ფართოდ განვითარებას.** ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქცია 1950 წელს განსაზღვრულია 265 მილიონი მანეთით (1926-27 წლის უცვლელ ფასებში), რაც 26,6 პროცენტით გადააჭარბებს ომამდელ დონეს. მნიშვნელოვნად გადიდდება მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

ხუთწლედის განმავლობაში ყოველმხრივ უნდა განვითარდეს რაიონული მრეწველობა ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე. მისი პროდუქცია ომამდელ დონესთან შედარებით 1950 წელს უნდა გაიზარდოს 66 პროცენტით.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია:

ა) მოეწყოს მცირე ჰიდროტურბინების მასობრივი წარმოება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის;

ბ) აღდგენილ იქნას საფეიქრო მოწყობილობისა და აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოება;

გ) გაფართოვდეს წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოება;

დ) აშენდეს საწონ-საზომი ხელსაწყოს ქარხანა თბილისში და სიმხურვალის გამძლე ქურქლის ქარხანა ოჩამჩირის ცეცხლგამძლე თიხების საფუძველზე.

ფართოდ გაიზრდება ავეჯისა და კულტურული საქონლის წარმოება.

უნდა მოეწყოს სკების წარმოება მეფუტკრეობისათვის.

სამთამადნო წარმოებათა ხაზით მოეწყობა ბაკურიანის ანდეზიტის დამუშავება, რისთვისაც კარიერთან მიყვანილ იქნება ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის შტო.

რაიონულმა მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ უნდა განავითარონ ტრიკოტაჟის თეთრეულის, ბამბეულის, აბრეშუმის, შალეულის ქსოვილების, წინდის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება, საგრძნობლად გაადიდონ სამკერვალო, საგალანტერიო და საკანცელარიო სასკოლო საგნებისა და ინვენტარის დამზადება.

რაიონული მრეწველობის ხაზით ყოველმხრივ განვითარდება ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება. მთელ რიგ რაიონებში გათვალისწინებულია აგურისა და კრამიტის მცირე სიმძლავრის ქარხნების აგება.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა.

აგურის, კრამიტისა და კირის წარმოების გარდა რაიონულმა მრეწველობამ უნდა გააფართოოს ბუნებრივი საშენი ქვების დამზადება, მეტლახის ფილის წარმოება, კერამიკულ ნაწარმთა გამოშვება და სხვა.

სარეწაო კოოპერაციის ხაზით მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ახალი შაბიამნის ქარხნის აგება, თბილისის ბამბისა და მატყლის სართავ საწარმოთა გაფართოება.

უნდა მოეწყოს საძირე ლანჩის წარმოება 150 ტონის სიმძლავრით წელიწადში და აღდგენილ იქნას ხალიჩების წარმოება.

ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული კაპიტალური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია რესპუბლიკური და ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციების გაძლიერება და განმტკიცება.

ჩვენს რესპუბლიკაში არის რამდენიმე სამშენებლო ტრესტი: „საქმშენი", „თბილისმშენი", „კვების მრეწველობის სამშენებლო ტრესტი", „ინდმშენი", მაგრამ მათ საჭირო ტემპით ჯერჯერობით ვერ გაშალეს მუშაობა.

სამშენებლო ინდუსტრიის ტექნიკური ბაზის გაძლიერების მიზნით აუცილებელია სამშენებლო ტრესტები აღიჭურვონ მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით. მშენებლობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად და მისი ღირებულების შესამცირებლად.

თვითეულმა ტრესტმა უნდა შექმნას დამხმარე საწარმოთა სამშენებლო კომბინატები, სადაც საქარხნო წესით დამზადდება სამშენებლო დეტალები, კონსტრუქციები და მასალები.

ამასთან საჭიროა აიგოს საცხოვრებელი სახლები მუდმივი მუშახელის შესანარჩუნებლად.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება განხორციელებულ უნდა იქნას საწარმოო პროცესების მექანიზაციით, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვით და სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელებით.

სამრეწველო საწარმოებში სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარდეს ტექნიკური დანორმვის მხრივ. ადგილობრივი და რესპუბლიკური მრეწველობის ბევრ საწარმოში მოქმედი ტექნიკური ნორმები მოძველდნენ და აფერხებენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. აუცილებელია გადაისინჯოს მოძველებული ნორმები და დაწესდეს ტექნიკურად დასაბუთებული ახალი ნორმები.

მიმდინარე ხუთწლედში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

## სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, ხუთწლედის დამლევისათვის მთლიანად რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება.

სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის ყოველმხრივი გაზრდა, რათა უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება. მოსავლიანობის ზრდა მიღწეულ უნდა იქნას მიწათმოქმედების კულტურის საერთო ამაღლებისა და მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მონაპოვართა გამოყენების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო ნათეს კულტურათა საერთო ფართობი 1950 წელს მიაღწევს 937 ათას ჰექტარს, მათ შორის კოლმეურნეობებში — 800 ათას ჰექტარს.

მოსავლიანობის გაზრდის მიზნით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აღდგენილ და შემოღებულ უნდა იქნას სწორი თესლბრუნვა.

თესლბრუნვაში აუცილებელია ბალახთესვის და ნარევბალახეულის, პარკოსანი და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ფართო გამოყენება. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანეულის დროულად მოხვნას და ნიადაგის კარგად დამუშავებას, აგრეთვე სასელექციო მუშაობას, რათა დამთავრდეს მარცვლეული კულტურების მთლიანად ჯიშობრივ ნათესებზე გადასვლა ჯიშთა დარაიონების გეგმის შესაბამისად.

ადგილობრივი ორგანული სასუქების სრულად გამოყენებასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაფართოვდეს მინერალური სასუქებით სარგებლობა.

მოსავლიანობის გადიდების საკითხი როგორც ადგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანოებისა და კოლმეურნეობების, ისე სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის საერთო მოსავალმა უნდა მიაღწიოს 895,2 ათას ტონას, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ—12 ცენტნერს ერთ ჰექტარზე.

მიმდინარე ხუთწლედში საგრძნობლად უნდა გაიზარდოს კარტოფილის, მზესუმზირას, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა ერთწლიანი ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. თამბაქოს ფართობი 1950 წლისათვის შეადგენს 16 ათას ჰექტარს, ხოლო საშუალო მოსავლიანობა 8,5 ცენტნერს ჰექტარზე.

დიდი ამოცანებია დასახული მრავალწლიან, სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა შემდგომი განვითარების დარგში.

ხუთწლედის მანძილზე უნდა გაშენდეს 6 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია და ჩაის საერთო ფართობი აყვანილ იქნას 57,5 ათას ჰექტარამდე. გაშენდება 11 ათასი ჰექტარი ციტრუსის ახალი ნარგავები, მათ შორის ლიმონი 3 ათასი ჰექტარი, ფორთოხალი — 3 ათასი ჰექტარი და მანდარინი — 5 ათასი ჰექტარი. ამის შედეგად ციტრუსების ნარგავების საერთო ფართობი 1950 წელს მიაღწევს 29 ათას ჰექტარს, ნაცვლად ახლანდელი 19 ათასი ჰექტარისა.

ახალი პლანტაციების გაშენებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს არსებული პლანტაციების აღდგენისა და მოვლის საქმეს, უზრუნველყოფილ იქნას დაღუპულ და გამეჩხერებულ პლანტაციებზე აღდგენითი და მიმდინარე რემონტის ჩატარება.

საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დაავადებასთან ბრძოლა.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ახალი, ყინვაგამძლე და მაღალხარისხოვან ციტრუსოვან კულტურათა ჯიშების გამოყვანა და მათი ფართოდ გაშენება.

ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში მიგვითითა:

„ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგი **სტალინი** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ეს ბევრ რამეს გვავალებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად არა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობანი ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში...

სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების ფართობთა შემდგომი გადიდებისათვის, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის".

ამხანაგ ბერიას ეს მითითება საფუძვლად უნდა დაედოს სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის დარგში მომუშავეთა საქმიანობას.

ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი დარგი — მევენახეობა.

ვენახის საერთო ფართობი 1950 წელს მიაღწევს 70 ათას ჰექტარს, რისთვისაც დამატებით უნდა გაშენდეს 11 ათასი ჰექტარი ვენახი.

ხეხილის ბაღის ფართობი გადიდდება 91,3 ათას ჰექტარამდე; ვენახების და ხეხილის ბაღების შემდგომი ზრდა უნდა მოხდეს უმთავრესად ახალი სარწყავი ფართობების ათვისების გზით.

მიმდინარე ხუთწლედში საგრძნობლად გაუმჯობესდება მუშაობა ევკალიპტის და თუთის ხის ნარგავთა გაშენების დარგში. ამ ნარგავთა გაშენებას დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და საქართველოში მოიპოვება ყველა პირობა მათი ფართოდ დანერგვისათვის.

1950 წელს ევკალიპტის ნარგავი აყვანილ უნდა იქნას 40 მილიონ ძირამდე, ნაცვლად 1945 წლის 7,3 მილიონი ძირისა, ხოლო თუთის ხის ნარგავები მიაღწევს 21 მილიონ ძირს, ნაცვლად 1945 წლის 13,3 მილიონისა.

დასავლეთ საქართველოს ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ადგილობრივი სასუქებით უზრუნველსაყოფად აშენდება 2 ტორფო-ფეკალის ქარხანა ფოთსა და ბათუმში, 2 ტორფო-ფოსფატის ქარხანა ქობულეთსა და ზუგდიდში.

დიდი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებთან ბრძოლას.

ხუთწლედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერება.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული კულტურების გაშენების, მოვლის, მავნებლებთან ბრძოლის და მოსავლის აღების საქმეში, რაც საგრძნობლად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია სერიოზულ ღონისძიებათა ჩატარება წყალთა მეურნეობაში სარწყავი მიწების გაფართოების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ხუთწლედის მანძილზე სხვადასხვა სარწყავი, საინჟინრო მშენებლობის და რეკონსტრუქციის განხორციელების შედეგად, სარწყავი მიწების ფართობი გაიზრდება 80 ათასი ჰექტარით.

გათვალისწინებულია სარწყავი არხების ქსელის ყოველმხრივი გაფართოება. მიმდინარე ხუთწლედში მთლიანად უნდა დამთავრდეს ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია და გაყვანილ იქნას სალთვისის, დოეს-გრაკალის, სკრა-ქარელის, კეხვის, დოღლაურის ველის და აჯამეთის არხები.

გარდა ამისა, სპეციალური სამუშაოები უნდა ჩატარდეს ტიკორთინგურის, ინგურ-ხუმუშკურის, ერწო-თიანეთის, ცხემი-გეჯეთის, ხიბულისა და კახაბრის დაჭაობებული ფართობების ამოსაშრობად.

ახალი სარწყავი არხების მშენებლობასთან ერთად საჭიროა წყალთა მეურნეობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არსებულ სარწყავ სისტემათა ექსპლოატაციის გაუმჯობესებას.

ჩვენს რესპუბლიკას ფართო შესაძლებლობა მოეპოვება, რათა სწრაფი ტემპით განვითარდეს მცირე სასოფლო-სამეურნეო ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა.

ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია მრავალი მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელთა საერთო სიმძლავრე 21,5 ათას კილოვატს შეადგენს. ეს მნიშვნელოვნად უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლებისა და რაიონული ცენტრების ელექტროფიკაციას და სხვადასხვა საწარმოო პროცესების მექანიზაციას.

მცირე სასოფლო-სამეურნეო ჰიდროელექტროსადგურთა ასათვისებლად აშენდება 664 ახალი სატრანსფორმატორო კიოსკები და საგრძნობლად გაიზრდება გადამცემი ხაზების ქსელი. ამ პროგრამის განხორციელება ადგილობრივი ორგანოებისა და საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის ტრესტისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აუცილებელია ელექტროსადგურების საგამოკვლევო და საპროექტო სამუშაოთა გაუმჯობესება, მშენებლობის ვადების დაჩქარება.

მეცხოველეობის დარგში გათვალისწინებულია პირუტყვის სულადობის საგრძნობი ზრდა.

ხუთი წლის მანძილზე ცხენის სულადობა გაიზრდება 43,4 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა — 17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 41,3 პროცენტით, ღორისა — 52 პროცენტით.

პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია მისი ჯიშიანობის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის გადიდება, რისთვისაც მოეწყობა სახელმწიფო ჯიშსაშენები, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ ვეტსამსახურების მკვეთრი გაუმჯობესებით.

პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველსაყოფად დასახულია ღონისძიებანი საკვები ბაზის საგრძნობლად გადიდებისათვის. უნდა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს საზამთრო-საზაფხულო საძოვრები იქ სათანადო საცხოვრებელი, საწარმოო შენობების, სანახირე გზების მოწყობის საშუალებით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებას და აბრეშუმის პარკის დამზადების გადიდებას. 1950 წელს უნდა დამზადდეს 3.440 ტონა აბრეშუმის პარკი, რაც 38 პროცენტით აღემატება 1945 წლის დონეს. გაჩაღდება მუშაობა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის თესლის გამოყვანისა და გავრცელებისათვის.

ახალ ხუთწლედში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მეფუტკრეობას. 1950 წელს გათვალისწინებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფუტკრის ოჯახების რაოდენ-

(დასასრული მე-5 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის

## საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ე. აღლაძის მოხსენება

(დასასრული)

ბის 123 პროცენტით გადიდება 1945 წელთან შედარებით.

სერიოზული ყურადღება დაეთმობა კოლმეურნეობებში, რომელთაც ხორბლეულის ნათესები მოეპოვებათ, მეფრინველეობის შემდგომ განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარება და აღმავლობა მიმდინარე ხუთწლედში მიღწეულ უნდა იქნას საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის საფუძველზე.

### ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტის გაფართოებას. რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით ხუთწლედის დამლევისათვის ტვირთზიდვა 3,5-ჯერ დიდდება ომამდელთან შედარებით.

ახალ ხუთწლედში რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობა დიდძალ ახალ სატვირთო ავტომობილს მიიღებს. საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობის წინაშე დასახულია ამოცანა, რათა მთლიანად და ეფექტიანად გამოიყენოს გაზრდილი საავტომობილო პარკი. უნდა გაიხსნას საავტომობილო ტვირთზიდვის ახალი ხაზები, რათა გადიდდეს მეურნეობის სხვადასხვა დარგების მომსახურება.

ტვირთზიდვის ზრდასთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მგზავრთა გადაყვანის მნიშვნელოვან გადიდებას. აღდგენილ იქნება რეგულარული საავტობუსო ტრაქტები ყველა მიმართულებით, რომელნიც ომამდე არსებობდნენ. 1950 წელს მგზავრთა გადაყვანა 3-ჯერ გაიზრდება 1940 წელთან შედარებით.

რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში— თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში მოსახლეობის მომსახურება მოეწყობა სატვირთო და მსუბუქი ტაქსომოტორებით.

მზარდი საავტომობილო ტრანსპორტი მოითხოვს რესპუბლიკის ავტოსარემონტო ბაზის გაძლიერებას.

1950 წელს გათვალისწინებულია თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მიერ ავტომობილების კაპიტალური რემონტის 4-ჯერ გადიდება 1945 წელთან შედარებით. თბილისში აშენდება სამგზავრო მანქანათა ავტობაზა.

ხუთწლედის მანძილზე საბოლოოდ აშენდება ოთხი რესპუბლიკური გზა: ჩოხატაური-ბახმარო, მაიაკოვსკი-სათრმე - დიდმაღალა, ცაგერი - ოპიტარა-წყალტუბო და მუხური-ლუგელა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საგზაო ორგანოებს როგორც ახალი საგზაო მშენებლობის, ისე არსებული გზების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საგზაო სამმართველომ უნდა უზრუნველჰყოს საგზაო მექანიზმების მოვლა და მათი სრული დატვირთვა.

**კავშირგაბმულობის დარგში** გათვალისწინებულია სასოფლო საბჭოებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ტელეფონიზაცია. მიმდინარე ხუთწლედში ტელეფონიზებული იქნება 101 სასოფლო საბჭო და ათი საბჭოთა მეურნეობა, ამასთან დაკავშირებით გაყვანილ იქნება 791 კილომეტრი ხაზი და გაიბმება რკინის მავთული 2.522 კილომეტრზე.

რადიოტრანსლაციის წერტების რიცხვი ხუთწლედის განმავლობაში 35.000 ერთეულით გაიზრდება.

### ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმა

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

ხუთწლიანი გეგმა მიზნად ისახავს არა მარტო ომამდელი დონის მიღწევას, არამედ მის თვალსაჩინო გადაჭარბებას. მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გატარებაც ნავარაუდევია ახალ ხუთწლედში, უზრუნველჰყოფენ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. ამ ღონისძიებებს ეკუთვნის სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, საქონელბრუნვის გაფართოება, ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრული დაკლება, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასის და კოლმეურნეთათვის შრომადღეზე ნატურალური და ფულადი საზღაურის გადიდება. ამასთან დაბანდება, რომელიც გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში საბინაო მშენებლობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, დიდად დააჩქარებს ომამდელი დონის მიღწევას და მის მნიშვნელოვნად გადაჭარბებას.

**კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში** გეგმა ითვალისწინებს განხორციელდეს ბავშვების საყოველთაო-სავალდებულო სწავლება 7 წლის ასაკიდან როგორც ქალაქად, ისე სოფლად. 1946-1950 წლებში სახალხო განათლების ძირითადი ამოცანაა სკოლებში სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, მეტი დისციპლინის დამყარება, მატერიალური ბაზის განმტკიცება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და საკოლო ნივთებით უზრუნველყოფა, სკოლების მოწყობა სასწავლო კაბინეტებითა და ინვენტარით, სასწავლებლების მთლიანად დაკომპლექტება კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საშუალო სკოლებში შემოღებულია მეცადინეობის თერთმეტი წლის ხანგრძლივობა.

1950 წლისათვის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების რიცხვი მიაღწევს 4.333-ს, აქედან ქალაქად — 334 და სოფლად 3.999. გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს ქალაქად 18 სკოლის ახალი შენობის აგებას, მათ შორის თბილისში აშენდება 4 სკოლა. ქუთაისში — 3, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ახალციხეში, ბორჯომში, გორში, გურჯაანში, ცხაკაიაში, თელავში, ხაშურსა და მახარაძეში — თითო სკოლა. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე აიგება რამოდენიმე ათეული სკოლის შენობა რაიონულ ცენტრებში და სოფლად.

ხუთწლედის დამლევისათვის მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში მიაღწევს 748,3 ათასს; მათ შორის ქალაქად 190,5 ათასს და სოფლად 557,8 ათასს. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელმაც სამამულო ომის გამო ვერ შესძლო ნორმალური სწავლების მიღება, გაიხსნება სპეციალური სკოლები საშუალო განათლების მისაღებად.

. რესპუბლიკური დაქვემდებარების უმაღლეს სკოლებში სტუდენტთა რიცხვი ხუთწლედის ბოლოსათვის მიაღწევს 13,7 ათასს, ხოლო სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში — 39,6 ათასს.

მშრომელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იზრდება თეატრებისა და კინოთეატრების ქსელი. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1950 წლისათვის ყველა რაიონის ცენტრის და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების სტაციონარული კინოდანადგარებით უზრუნველყოფას, სოფლად სტაციონარული კინოდანადგარების ზრდას და სოფსაბჭოების კინოსურათებით მომსახურებას თვეში სამჯერ მაინც.

გათვალისწინებულია 500-ადგილიანი კინოთეატრების ახალი შენობების აგება თბილისში (26 კომისრის რაიონში), ქუთაისსა და სოხუმში. ნავარაუდევია აგრეთვე თბილისში 700-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრის აგება.

1950 წელს თეატრების რიცხვი მიაღწევს 43-ს. შენდება ახალი დრამატიული თეატრები ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ზესტაფონში.

კადრებით უზრუნველსაყოფად 1950 წელს ხელოვნების დარგის სხვადასხვა სახის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა 1.206-ს მიაღწევს, ნაცვლად 1940 წლის 694 კაცისა. სამხატვრო, მუსიკალურ, თეატრალურ, ქორეოგრაფიულ და სხვა საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეების რიცხვი 1950 წელს მიაღწევს 16.316 კაცს, რაც ბევრად აღემატება მოსწავლეთა ომამდელ საერთო რიცხვს.

გეგმა ითვალისწინებს საკლუბო ქსელის დიდ ზრდას. 1950 წელს 2.150 კლუბი იმუშავებს, ნაცვლად 1940 წლის 1.505-ისა. ასევე მნიშვნელოვნად იზრდება მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი, რაც ხუთწლედის დამლევისათვის 3.100-ს მიაღწევს. ეს ერთიორად აჭარბებს ომამდელ დონეს. კულტურული ღონისძიება, რომელიც ტარდება ახალ ხუთწლედში, ითვალისწინებს საქალაქო და სარაიონო კულტურის სახლების რიცხვის 80-მდე აყვანას. კულტურის ახალი სახლები აიგება ამბროლაურში, გალში, ონში.

კულტურულ დაწესებულებათა ქსელის ზრდასთან ერთად ძლიერდება კადრების მომზადება. პოლიტსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა რიცხვი ხუთწლედის ბოლოს აყვანილ იქნება 1.423 კაცამდე.

1946 წელს ქალაქ გორში დაიწყება მუზეუმის მშენებლობა.

**ჯანმრთელობის დაცვის** გასაუმჯობესებლად ახალი ხუთწლედი მთელ რიგ ღონისძიებებს ისახავს. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით რესპუბლიკაში იხსნება ახალი პოლიკლინიკები, საავადმყოფოები და საექიმო პუნქტები. 1950 წლის ბოლოსათვის სპეციალურ და საერთო საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი მიაღწევს 17,9 ათასს, ნაცვლად 1940 წელს არსებული 11,3 ათასი ადგილისა, მათ შორის ქალაქად იქნება 12 ათასი, სოფლად — 5,9 ათასი საწოლი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს სამამულო ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გათვალისწინებულია სამამულო ომის ინვალიდებისათვის სპეციალური სანატორიუმის აგება წყალტუბოში.

დიდი ყურადღება ექცევა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. ამ მხრივ გეგმა ითვალისწინებს მთელი რიგი ახალი სამშობიარო სახლების, საბავშვო და ქალთა საკონსულტაციო პუნქტების, ბავშვთა საავადმყოფოების მოწყობას. ახალი სამშობიარო სახლების შენობები აიგება თბილისში, სოხუმში, მახარაძეში, სტალინირში, ჩოხატაურში, ხარაგოულსა და ქარელში. საგრძნობლად იზრდება აგრეთვე საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების ქსელი. ხუთწლედის დამლევისათვის საბავშვო ბაღებში ბავშვების რიცხვი 29,3 ათასამდე იზრდება, ხოლო მუდმივი ადგილები საბავშვო ბაგებში მიაღწევს 18,8 ათასს, ნაცვლად 10,4 ათასი ადგილისა 1940 წელს.

ახალი საბავშვო ბაგები გაიხსნება თბილისში, ქუთაისში, გორში. გარდა ამისა, საბავშვო ბაღების შენობები აიგება განათლების სამინისტროს ხაზით ქუთაისში, ბათუმში, გორსა და მახარაძეში.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მხრივ ნავარაუდევია გაფართოვდეს სამალარიო (ტროპიკული) სადგურების რაოდენობა.

საქართველოს კურორტები, როგორიცაა აბასთუმანი, ბორჯომი, წყალტუბო, მენჯი, შავი ზღვის სანაპირო კურორტები თავისი კლიმატური და ბალნეოლოგიური სამკურნალო თვისებებით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება ჩვენი კურორტების კეთილმოწყობისა და სანატორიუმების საწოლთა რაოდენობის გადიდებისათვის. მარტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით საკურორტო საწოლების რაოდენობა 1950 წელს შეადგენს 5.831-ს, ნაცვლად 1945 წლის 1.375-ისა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიმდინარე ხუთწლედში გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს სამამულო ომის განმავლობაში დაზარალებული კურორტების აღდგენისა და კეთილმოწყობისათვის, ააგოს ქალაქ თბილისში 3 საავადმყოფო 600 საწოლით, ქალაქ ქუთაისში— 1 საავადმყოფო 200 საწოლით, აგრეთვე ქალაქ გორში, გალში, ოჩამჩირში, დუშეთში, ლაგოდეხში, სამტრედიასა და ყვარელში თითო საავადმყოფო. დაიწყება საავადმყოფოების მშენებლობა ზესტაფონსა და ახმეტაში.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მაღალხარისხოვანი კვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად ხუთწლედის დამლევისათვის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვი მიაღწევს 2.643-ს, ხოლო საშუალო მედსასწავლებლებში — 4.698-ს.

**საბინაო მშენებლობის ხაზით** ახალი ხუთწლედი მიზნად ისახავს დიდ სამუშაოებს, რამაც საგრძნობლად უნდა უზრუნველჰყოს მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება როგორც ქალაქად, ისე მუშებით დასახლებულ დაბებსა და სოფლებში.

1946-1950 წლებში სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდი უნდა გაიზარდოს 732 ათასი კვადრატული მეტრით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 35 ათასი კვადრატული მეტრით. ახალ მშენებლობასთან ერთად გადაჭრით გაუმჯობესდება საცხოვრებელი ბინების რემონტი.

ახალი ადმინისტრაციული სახლები აიგება ქალაქ ქუთაისში, ქარელში, თეთრწყაროში, ხობში, ვანში, ჩხოროწყუში, ახმეტასა და კასპში. დაიწყება ადმინისტრაციული სახლების მშენებლობა ტყიბულსა და საგარეჯოში. თბილისში აშენდება მთავრობის სახლის ფასადის კორპუსი.

**კომუნალური მეურნეობის დარგში** ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მშრომელთა კომუნალური მომსახურების საგრძნობი გაუმჯობესება. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას კომუნალურ მეურნეობაში 80 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხის დიდი ნაწილი მოხმარდება თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებას: გაფართოვდება წყალსადენი, ელექტროქსელი და კანალიზაცია, გაყვანილ იქნება ტრამვაისა და ტროლეიბუსის ახალი ხაზები, გადიდდება ტრამვაისა და ტროლეიბუსის პარკი.

წყალსადენის საერთო ქსელი გაიზრდება 107 კილომეტრით 1940 წელთან შედარებით.

დამთავრდება ახალი წყალსადენების მშენებლობა სოხუმში, წითელწყაროში, ახმეტასა და ქარელში.

დაიწყება წყალსადენების მშენებლობა ზუგდიდში, სამტრედიასა და ჩოხატაურში.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია მთელ რიგ რაიონებში არსებული წყალსადენების გაფართოება.

კომუნალური წყალსადენების საშუალო სადღეღამისო მიწოდება 1950 წლისათვის დიდდება 259 ათას კუბომეტრამდე, ანუ ერთიორად ომამდელთან შედარებით.

ქალაქ ფოთში გათვალისწინებულია კანალიზაციის მოწყობა.

1950 წლისათვის ტრამვაის საექსპლოატაციო ხაზის სიგრძე მიაღწევს 97 კილომეტრს; ტროლეიბუსის ხაზის სიგრძეც საგრძნობლად იზრდება და ხუთწლედის ბოლოსათვის 20,7 კილომეტრს შეადგენს.

**საქონელბრუნვისა და მოხმარების დარგში** ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით საცალო საქონელბრუნვის მნიშვნელოვან ზრდას.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1950 წლის (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით) 28 პროცენტით გადააჭარბებს 1940 წლის საქონელბრუნვის მოცულობას შედარებითს ფასებში. მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა სავაჭრო ორგანიზაციებს ახალ სერიოზულ ამოცანებს უყენებს. უნდა მომზადდეს და გაფართოვდეს სავაჭრო ქსელი, უზრუნველყოფილ იქნას იგი ტრანსპორტით, ინვენტარით, მოწყობილობითა და კადრებით.

გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა გულისხმობს მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდებას.

ხუთწლედის ბოლოსათვის სასურსათო საქონლის გაყიდვა მოსახლეობაში 1940 წელთან შედარებით დიდდება 23 პროცენტით, ხოლო სამრეწველო საქონლისა — 36 პროცენტით.

უნდა გაიზარდოს საკოლმეურნეო ვაჭრობა, რისთვისაც გათვალისწინებულია საკოლმეურნეო ბაზრების გაფართოება და კეთილმოწყობა. საკოლმეურნეო ბაზრებში იწარმოებს გლეხური მოთხოვნილების სამრეწველო საქონლის ფართო გაყიდვა. ადგილობრივი საბჭოების წინაშე დგას ამოცანა გააუმჯობესონ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლასთან დაკავშირებით მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში სათანადო გამოხატულებას პოულობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის შემდგომი აღმავლობა.

**აფხაზეთის** ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების და საწარმოების გაფართოებასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი მრეწველობა, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენს ფართო მოხმარების საქონლის მასობრივი გამოშვება, ამასთან ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება.

აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობა 1950 წელს გამოუშვებს 1,5-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე გამოშვებული იყო 1945 წელს. მნიშვნელოვნად გაიზრდება ავეჯის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, განსაკუთრებით აგურისა და კრამიტის გამოშვება.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობისათვის ხუთი წლის მანძილზე შეადგენს 32,9 მილიონ მანეთს. მშენებლობის მთავარი ობიექტებია: ოჩამჩირის ტუნგოს ზეთის სახდელი ქარხანა, კოჩარის ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების სამი შემფუთავი ქარხანა, საავადმყოფოები გალსა და ოჩამჩირში, საშუალო სკოლა სოხუმში, კულტურის სახლი გალში. სოხუმში აშენდება ბიბლიოთეკა, დრამატიული თეატრი და კინოთეატრი, მოეწყობა წყალსადენი და განხორციელდება ჭაობების ამოშრობა, გინძა-ეწერის სატყეო აგარაკის სამრეწველო ათვისება, გაიშლება საბინაო მშენებლობა.

სოფლის მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია სუბტროპიკულ კულტურათა ფართობის შემდგომი გადიდება. 1950 წელს აფხაზეთის ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზრდება 2 ათასი ჰექტარით 1945 წელთან შედარებით და შეადგენს 11,8 ათას ჰექტარს.

საგრძნობლად გაიზრდება აგრეთვე ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი, რომელიც 1950 წელს შეადგენს 7,8 ათას ჰექტარს. ხუთწლედის განმავლობაში გაშენდება 3,8 ათასი ჰექტარი ციტრუსის ნარგავები.

მიმდინარე ხუთწლედით გათვალისწინებულია აფხაზეთში დაირგოს 11,2 მილიონი ძირი ევკალიპტი.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის კულტურათა საგრძნობ ზრდას. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1950 წელს 39 პროცენტით გაიზრდება ომამდელთან შედარებით, ხოლო თამბაქოს მოსავლიანობა — 18 პროცენტით.

მეცხოველეობის დარგში გათვალისწინებულია, ხუთწლედის მანძილზე ცხენის სულადობის მატება 45 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—18 პროცენტით და ღორებისა — 38,7 პროცენტით.

**აჭარის** ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მიმდინარე ხუთწლედით გათვალისწინებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდა.

ადგილობრივი მრეწველობა 1950 წელს თითქმის 2-ჯერ მეტ პროდუქციას გამოუშვებს 1945 წელთან შედარებით. ავეჯის წარმოება გაიზრდება 3-ჯერ, ტრიკოტაჟისა 4-ჯერ, აგურისა — 7-ჯერ, კრამიტისა — 6-ჯერ.

ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით განსაზღვრულია 29,2 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აჭარაში 2 ჩაის ფაბრიკის მშენებლობას, აშენდება ტორფ-ფეკალის და ტორფ-ფოსფატის ქარხნები, სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის ქარხანა ოჩხამურში, მომინანქრებული ჭურჭლის საწარმო ბათუმში. ნავარაუდევია ბათუმში წყალსადენის რეკონსტრუქცია, საშუალო სკოლის შენობის აგება, საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკის მშენებლობა და სხვა.

სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ციტრუსოვან კულტურათა ფართობის ზრდას. 1.570 ჰექტარზე გაშენდება ციტრუსოვანი ნარგავები, მათ შორის 1.200 ჰექტარზე ლიმონი.

ხუთწლედის დამლევისათვის საშუალო მოსავლიანობა წესდება მარცვლეული კულტურებისა 11 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო თამბაქოსი 8 ცენტნერი ჰექტარზე.

ცხენის სულადობის გაზრდა ხუთწლედის განმავლობაში განსაზღვრულია 39 პროცენტით, ხოლო მსხვილფეხა რქიანი საქონლისა 17 პროცენტით.

**სამხრეთ-ოსეთის** ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია ხუთი წლის მანძილზე გაიზრდება ერთიორად, უმთავრესად ადგილობრივ მასალათა წარმოების განვითარების გზით.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობისათვის განსაზღვრულია 5,7 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ სამუშაოთა განხორციელებას წონისის სატყეო აგარაკის სამრეწველო ათვისებისათვის, კეხვის სარწყავი არხის მშენებლობას და სტალინირში ზოოვეტერინარული ტექნიკუმის, საშუალო სკოლის, სამშობიარო სახლის და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

სოფლის მეურნეობის დარგში სამხრეთ-ოსეთისათვის გათვალისწინებულია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება 20 პროცენტით და შაქრის ჭარხლისა 14,3 პროცენტით.

მეცხოველეობის დარგში გეგმით განსაზღვრულია ცხენის სულადობის ზრდა 44,4 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 17,3 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 41,2 პროცენტით და ღორისა — 45 პროცენტით.

* * *

საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობისათვის ხუთწლედით გათვალისწინებული 591 მილიონი მანეთი წარმოადგენს ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებას. ამ თანხის გარდა, მიმდინარე ხუთწლედში ასეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯება ლიმიტგარეშე დაბანდებათა ხაზით. ეს თანხები მოხმარდება ქალაქების და კურორტების კეთილმოწყობას, კომუნალურ-საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტს, უწყება-ორგანიზაციების სამრეწველო მშენებლობას და შენობანაგებობათა აღდგენითსა და სარემონტო სამუშაოებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა დააყენა საკითხი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა გადიდების შესახებ. დამატებითი დაბანდებანი გამოთხოვილია ისეთი ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად, რომელთა განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის, როგორიცაა, მაგალითად, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, დიდმის ჰიდროელექტროსადგური, კასპის ცემენტის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების შენობის აგება.

დამატებითი თანხებია გამოთხოვილი აგრეთვე საკურორტო, კომუნალური და საბინაო მშენებლობის ხაზით.

ამ საკითხის განხილვა უმაღლესი საბჭოს სესიამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალა და ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო!

ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების პირობებია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა, საბჭოთა ხალხის უდიდესი შემოქმედებითი ძალა, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა.

საქართველოს მშრომელნი — მუშები, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია — დარაზმულნი კომუნისტური პარტიის გარშემო, თავდადებული შრომით უზრუნველჰყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომ აღმავლობას ახალი ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად.

ჩვენს ქვეყანაში უკვე გაჩაღებულია დიდი მუშაობა ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ წარმოების ზრდასთან ერთად საჭიროა უზრუნველვყოთ წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესება. აუცილებელია განვამტკიცოთ საწარმოებში სამეურნეო ანგარიში, ავამაღლოთ მოგების მნიშვნელობა, უზრუნველვყოთ პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება — შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვის მომჭირნეობის საშუალებით.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიადი პერსპექტივა აღაფრთოვანებს ქართველ ხალხს და მშრომელთა ფართო მასებში ახალ შრომით აღმავლობას იწვევს.

საქართველოს მშრომელნი, აღზრდილნი სახელოვანი სტალინელის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მიერ **ლენინ-სტალინის** საქმის უანგარო სიყვარულის და ერთგულების ტრადიციებზე, გენერალური მხედართმთავრის დიდი **სტალინის** წინამძღოლობით, არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა წარმატებით შეასრულონ ახალი ხუთწლედის ყველა დავალება! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

# პარიზის საზავო კონფერენციაზე

**პარიზი**, 3 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით საპროცედურო საკითხების კომისიაში განახლდა საზავო კონფერენციაზე თავმჯდომარეობის საკითხის განხილვა. ამ განხილვის მსვლელობაში კვლავ დადასტურდა, რომ კონფერენციაზე და მის კულისებში მოქმედებენ ძალები, რომლებიც ისწრაფვიან დაარღვიონ დიდი სახელმწიფოების ერთიანობა.

[illegible]

...რობაში ეს პოზიცია უკვე იწვევს დიდ შეშფოთებას. საზოგადოებრიობას რჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას ესაჭიროება მოსძებნოს ნაპრალი, რათა მინისტრების საბჭოს ზოგი წევრი დაუპირისპიროს სხვა მის წევრებს, მონახოს ნაპრალი და ეცადოს ამ ნაპრალის გაფართოებას.

„დიდი და მცირე სახელმწიფოების რა ინტერესებით ან, ვთქვათ, ჰოლანდიის რა სპეციალური ინტერესებით შეიძლება განვუმარტოთ საზოგადოებრიობას ნაპრალის გამონახვის, ამ ნაპრალის გაფართოების, ერთი სახელმწიფოსათვის მეორის დაპირისპირების ასეთი სურვილი?—კითხულობს ამხ. მოლოტოვი. საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრის წინაშე იბადება კითხვა, რა ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ ჰოლანდიის წარმომადგენელი ან სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, როცა ასეთი პოზიცია დაიკავეს ამ საკითხში? ჰოლანდიის რა ეროვნული ინტერესები უკარნახებენ მის წარმომადგენელს ეცადოს საგარეო საქმეთა მინის-

...ბად დამტკიცდა რუსული, ინგლისური და ფრანგული ენები. მიღებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რეკომენდაციები კონფერენციის ადმინისტრაციული და სამუშაო სამდივნოების და კომისიების შემადგენლობის შესახებ.

**პარიზი**, 3 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). კონფერენციის დღევანდელ სალამოს პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ინდოეთის დელეგატი რუნგანდანი, რომელმაც, სხვათა შორის, განაცხადა, რომ არ ეთანხმება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობის მეთოდებს, თუმცა კონკრეტულად არაფერი უთქვამს.

საბერძნეთის დელეგატმა ცალდარისმა თავის სიტყვაში დამპყრობლურ ტერიტორიულ მოთხოვნათა მთელი პროგრამა გამოსთქვა. იგი უხეშად აყალბებდა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და ცდილობდა, რომ ალბანეთი, რომელიც ფაშისტ დამპყრობთა ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო, გამოეყვანა აგრესიის მონაწილედ და ამ საფუძველზე მოითხოვდა ჩრდი-

...ახალი ომისაკენ, რომ მათ მშვიდობა სურთ და მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ მიისწრაფვიან.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე ბელგიის წარმომადგენელი სპააკი, რომელმაც აღნიშნა, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ცდილობს თავს მოახვიოს კონფერენციას თავისი წინადადებანი, და ამ თუმცა სავსებით გამოგონილი საბაბით მოუწოდებდა პატივი სცენ მცირე ქვეყნებს.

სხდომა დამთავრდა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენლის მოკლე გამოსვლით. ამ გამოსვლით დამთავრდა კონფერენციის საერთო დისკუსია.

კონფერენციის დროებითმა თავმჯდომარემ ბიდომ გამოაცხადა, რომ კონფერენციის შემდეგი პლენარული სხდომა შეიკრიბება მას შემდეგ, რაც პროცედურის საკითხთა კომისია თავის მუშაობას დაამთავრებს და პროცედურის წესებს დასამტკიცებლად წარმოუდგენს პლენუმს.

# იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურ ბ-ნ კარდელის გამოსვლა

**პარიზი**, 1 აგვისტო. (საქდესი). იუგოსლავიის დელეგაციის მეთაური კარდელი სიტყვით გამოვიდა საზავო კონფერენციაზე და განაცხადა:

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო დელეგატებო! ამ დღეებში მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანები შეჰყურებენ პარიზს იმის მოლოდინში, რომ ამ საზავო კონფერენციაზე მოკავშირე და გაერთიანებული ხალხების წარმომადგენლნი გამოიტანენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც, იმასთან ერთად, რაც მათ მოჰყვება, შეიძლება გახდნენ ხანგრძლივი მშვიდობის მტკიცე საფუძველი. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, უწინარეს ყოვლისა, თავის მადლობას უძღვნის გმირ და მრავალტანჯულ საფრანგეთს მისი სტუმართმოყვარეობისათვის, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა კონფერენციის მუშაობა. ამავე დროს იუგოსლავიის დელეგაცია იუგოსლავიის ხალხების სახელით მიესალმება მოკავშირე ხალხებსა და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც აქ შეკრებილან ესოდენ პასუხსაგები ამოცანების გადასაწყვეტად იმის სურვილით, რომ ურთიერთგაგებამ ხელი შეუწყოს ყველა ჩვენს ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რათა ამ კონფერენციამ რაც შეიძლება უფრო წარმატებით განახორციელოს თავისი დიადი მიზნები.

უახლეს ისტორიაში ადგილი ჰქონდა მრავალ ომსა და საზავო კონფერენციას. მთელი რიგი ეკ კონფერენციები ისტორიამ დაჰგმო, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ან ბრმად მოქმედებდა, ხელმძღვანელობდა რა მხოლოდამხოლოდ სიძულვილით, ან გამარჯვებულის ძალით, ან ბეცად, ორპირულად მოქმედებდა, არ სპობდა რა იმ წყაროებს, რომელთა გამო ომი წარმოიშვა... ასეთმა შეცდომებმა გააადვილეს ახალი აგრესიებისა და ახალი ომების წარმოშობა. საზავო ხელშეკრულებებში, რომლებიც ჩვენ ახლა უნდა შევიმუშაოთ, არ უნდა განმეორდეს ასეთი შეცდომები. ხვალვე ისტორია დაუნდობელ შუქს მოჰფენს ამ კონფერენციაზე დაკავებულ თვითეულ პოზიციას და იგი მას არ შეაფასებს იმის საფუძველზე, თუ რა სიტყვებში იყვნენ ისინი გახვეულნი, არამედ იმის საფუძველზე, თუ როგორი იყო მათი ობიექტური, ფაქტიური მნიშვნელობა და რა შედეგები გამოიღეს მათ. ჩვენ დავიმსახურებდით კაცობრიობას უმკაცრეს განაჩენს, გულწრფელად რომ არ ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ თუნდაც იმ ფარგლებ-

# კანადის ჟურნალი ფრანკისტული რეჟიმისადმი ინგლისის დამოკიდებულების შესახებ

**ოტავა**, 3 აგვისტო. (საქდესი). ჟურნალ „უორლდ ნიუსლეტერის" კორესპონდენტი ბარსელონიდან იუწყება, რომ დიდი სახელმწიფოების დაზვერვის აგენტები სწავლობენ საკითხს იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება ექნეთ ეკონომიურ სანქციებს ესპანეთის წინააღმდეგ. სანქციები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული საფეიქრო მრეწველობის მიმართ, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ინგლისისა და ამერიკის ბამბაზე; ელექტროენერგეტიკული მეურნეობის მიმართ, რადგან ესპანეთში ელექტროენერგიის დიდი ნაწილი მზადდება ინგლისური ქვანახშირით; სოფლის მეურნეობის მიმართ, რომელიც დამოკიდებულია მორწყვის სისტემაზე, ხოლო სატუმბავი სადგურები მუშაობენ ვენესუელიდან, შეერთებული შტატებისა და ტრინიდადიდან შეტანილი საწვავით.

ამავე დროს, განაგრძობს კორესპონდენტი, „ცისფერი დივიზიის" ჯარისკაცებს, რომლებიც ესპანეთში ინგლისურ გემ „ბენფორდით" და სხვა გემებით დაბრუნდნენ, კვლავ აგროვებენ ესპანეთის არმიის რიგებში.

კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისის საელჩო ესპანეთში ცდილობს უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს მონარქისტებთან, ამით იმედი აქვს დაარწმუნოს ფრანკო, რომ მარტო მონარქისტებს შეუძლიათ იხსნან ესპანეთი „კომუნისტური" აჯანყებისაგან. კორესპონდენტი გადმოსცემს ხმებს, რომ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობს თვალსაჩინო ინგლისელი დიპლომატი.

# საპროტესტო მიტინგები თურქეთში

**სტამბოლი**, 2 აგვისტო. (საქდესი). კონიაში გაიმართა დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა მწვავედ გააკრიტიკეს ხელისუფალთა და მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა მოქმედება მეჯლისის არჩევნების დროს.

20-ათასიანი მიტინგი გაიმართა აგრეთვე ადანაში. მიტინგის მონაწილეებმა—ქალაქისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს მკაცრი პროტესტი გაუგზავნეს თურქეთის მეჯლისის არჩევნების თავისუფლების დარღვევის გამო.

# თურქეთის მთავრობის გადადგომა

**ლონდონი**, 4 აგვისტო. (საქდესი). რეიტერის სააგენტო სტამბოლიდან გადმოგვცემს, რომ სარაჯოღლუს მთავრობა მოულოდნელად გადადგა. პრეზიდენტმა ინენიუმ ყოფილ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრ რეჯებ პეკერს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა. ფიქრობენ, რომ სარაჯოღლუს კაბინეტის მინისტრების ნახევარზე მეტი ახალ კაბინეტში არ შევა.

# მასობრივი დაპატიმრებანი ტელ-ავივში

**ლონდონი**, 4 აგვისტო. (საქდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს პალესტინაში გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ტელ-ავივში ოთხი დღის ჩხრეკის შემდეგ ინგლისის ხელისუფლებამ შეიპყრეს 762 კაცი, მათ შორის 22 ქალი. სულ დაკითხულ იქნა 10 ათასამდე კაცი. ტელ-ავივის რაიონის ინგლისელთა პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ თუმცა მოსახლეობა დაბრკოლებებს უქმნიდა პოლიციას და ყალბ გვარებს ასახელებდა, ფიქრობენ, რომ შეპყრობილთაგან 60 კაცი მაინც ტერორისტებია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და ხაბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00186